შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

ზუგდიდი

2021

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია (შემდგომში - კოლეჯი) თანამედროვე მეთოდების დანერგვით, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებით, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სისტემის შექმნით ორიეტირებულია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯი განუხრელად იზრუნებს კურსდამთავრებულების კარიერის განვითარებაზე და დასაქმების ხელშეწყობაზე; მაღალკვალიფიცირებული კადრების მოზიდვასა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვაზე; კოლეჯის პედაგოგიური პერსონალისა და სხვა სტრუქტურების თანამშრომლების ცოდნის განახლებასა და კვალიფიკაცის ამაღლებაზე.

კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული გეგმის (2017-2023 წ.წ.) შესასრულებლად კოლეჯმა ჩამოაყალიბა

- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს.
- ✓ სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 2021 წელს გატარებული ღონისძიებები.

საანგარიშო წელს კოლეჯის ადმინისტაციასა და სამსახურებში საქმიანობა მიმდინარეობდა აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და პროფესიული განათლების სივრცეში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

- ✓ სასწავლო წლის დასაწყისისათვის განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. კერძოდ, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების შესაბამისად გატარდა პრევენციული ღონისძიებები სტუდენტებისა და პერსონალისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის, გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო მასალა, კომპიუტერული ტექნიკა, დამუშავდა გამოკითხვის კითხვარები. განხილული იქნა გასული წლის გამოკითხვის შედეგები და გაცემული რეკომენდაციები. სასწავლო წლის დაწყებამდე ახლად შემოსულ პროფესიული მასწავლებლები გაეცნენ პროგრამის, კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტების შედგენის, მტკიცებულებების შეგროვების სპეციფიკას.

- ✓ დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შემუშავებაში, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადაგზავნილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამები - „ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“. ამჟამად კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები და სასწავლო პროცესის მენეჯერი ჩართული არიან ,,აღმზრდელი''-ის პროფესიული პროგრამის

მოდულების ბანკის შემუშავების პროცესში - ყველა მოდულის შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა კოლეჯის ყველა დონის პროფესიული პროგრამის მასწავლებელი, რაც კიდევ ერთი სერიოზული ტრენინგი იყო შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების და პროგრამის განვითარების მხრივ. დისტანციური სწავლებიდან გამომდინარე, გადაიხედა სასწავლო ლიტერატურა, გაციფრულდა და აიტვირთა აკადემიის ვებ-გვერდზე.

- ✓ ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები სასწავლო პროცესის დაწყების, როგორც ადგილზე, ასევე ჰიბრიდულად სრულყოფილად და უწყვეტად წარმართვისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- ✓ სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეიქმნა პროფესიული მასწავლებლების და სტუდენტების ჯგუფები სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელებისათვის.
- ✓ ჩატარდა ინსტრუქციები სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისათვის ონლაინ პლატფორმის Gogle Meet -ის გამოყენების მიზნით.
- ✓ სასწავლო წლის დასაწყისისათვის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სასწავლო პროცესის მეთოდების გაცნობის მიზნით დაორგანიზდა პროგრამების ხელმძღვანელების, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტების ცალკეულ ჯგუფებთა ,,აღმზრდელის'' პროფესიულ პროგრამაზე.
- ✓ განხორციელდა ცვლილებები მარეგულირებელ დოკუმენტებში და საგანმანათლებლო პროგრამებში. განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რომელშიც ჩართული იყო როგორც სასწავლო პროცესის მეეჯერი პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის შესაბამისი მასწავლებლები, ასევე აქტიურად გვეხმარებოდნენ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციაში გაერთიანებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული მასწავლებლები. შესაბამისად, შედეგის დადასტურებაზე შედიოდა ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის შედეგის დადასტურება ხორციელდებოდა კოლეჯის აუდიტორიაში. რადგან დისტანციურად ინტერეტის მიუწვდომლობის და გაუმართაობის გამო პროფესიული სტუდენტები ვერ ერთვობოდნენ სრულყოფილად შეფასების პროცესში.
- ✓ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ მოდულის განხორციელებაში ახლად შემოსული და ასევე შემომატებული პროფესიული მასწავლებლებისთვის ინდივიდუალურ რეჟიმში ხორციელდებოდა ტრენინგები პროგრამის სპეციფიკის, კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტების შედგენის და მტკიცებულებების შეგროვების შესახებ.

- ✓ აკადემიის მონიტორინგის ჯგუფის მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა ლექციებზე და შედეგის დადასტურებაზე დასწრება,განხორციელდა სხვადასხვა ტიპის კვლევები: პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა

კმაყოფილების და ინტერნეტთან ხელმისაწდომობის. შდეგებიდან გამომდინარე შემუშავდა რეკომენდაციები და დაიგეგმა ღონისძიებები, კერძოდ პროფესიულ მასწავლებლებზე გაიცა სამუშაო ლეპტოპები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა აქტიური დახმარება ლექციებზე ჩართვასა თუ შედეგების დადასტურების წარმართვაში.

- ✓ 2021 წლის 20 ივნისს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებელთა მესამე ეროვნულ კონფერენცია „პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლება და შეფასება“, სადაც ჩვენი აკადემის წარმოადგინახ პროფესიულმა მასწავლებელმა დიანა ხურცილავამ თემაზე : „პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლება და შეფასება“.
- ✓ 2021 წლის 21 ივნისს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ჩატარებული ასოციაციის წევრი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა მესამე კონფერენციაში თემაზე „პროფესიული განათლების როლი პროფესიის განვითარებაში“ ჩვენი აკადემია წარმოადგინა „საოფისე საქმის“ პროფესიული პროგრამის სტუდენტება ტაკო გვასალიამ თემაზე : „პროფესიული განათლების როლი პროფესიის განვითარებაში“ პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც განპირობებული იყო თემის აქტუალობით და მკაფიო განმარტებებით.
- ✓ აკადემიაში უწყვეტად ტარდებოდა ღონისძიებები კოვიდრეგულაციების დასაცავად. მიმდინარეობდა ინფორმაციის შეგროვება ადმინისტრაციის და პედაგოგთა კოვიდასაწინააღმდეგო აცრებთან დაკავშირებით, რომელიც რეგულარულად ეგზავნებოდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პარტნიორობის განვითარების სამმართველის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს;
- ✓ 2021 სასწ.წელს მიღება გამოცხადდა აღმზრდელის,ბუღალტრული აღრიცხვის, საოფისე საქმის, პროფესიულ პროგრამებზე, მათ შორის სახელმწიფო დაფინანსებით 1 პროგრამაზე. მეხუთე დონის პროფესიულ პროგრამებზე მიღება განხორციელდა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული პროფესიული ტექსტირების გზით, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის და საოფისე საქმე აპლიკანტების შერჩევა წარიმართა შიდაშერჩევის გზით, გასაუბრების საფუძველზე.
- ✓ 2021 სასწავლო წლის მიღებაზე აკადემიის ყველა პროგრამაზე რეგისტრაცია გაიარა 50 აპლიკანტმა. ბრძანებით ჩაირიცხა 10 პროფესიული სტუდენტი.
- ✓ 2021წელს მოკლევადიან მომზადება / გადამზადების პროგრამებზე რეგისტრაცია გაიარა 100 ბენეფიციარმა . ბრძანებით ჩაირიცხა 51 პროგრამით მოსარგებლე მსმეელი.
- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განაწილდა შემდეგნაირად:

  - აღმზრდელი - 10;

  ,,ბურალტრული აღრიცხვა'' და ,,საოფისე საქმე'' პროფესიულ პროგრამებზე მიღება არ შედგა.
- ✓ მომზადება გადამზადების პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა განაწილდა შემდეგნაირად:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა -15
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში - 12
- ელექტრომული ბუთალტერია -12
- მმართველობითი და საიფორმაციო დოკუმენტებთან მუშაობა -12

კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიზნები

2017-2023 წლები

სტრატეგიული მიზანი N 1
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვება
სტრატეგიული მიზანი N 2
სასწავლო აუდიტორიების სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა
სტრატეგიული მიზანი N 3
კვალიფიციური პერსონალის და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მოზიდვა, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
სტრატეგიული მიზანი N 4:
სტუდენტების პროგრამებით დაინტერესება, მათ განვითარებაზე ზრუნვა.
5.სტრატეგიული მიზანი:
კერძო სექტორთან თანამშრომლობა პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით.
6.სტრატეგიული მიზანი :
კოლეჯის ცნობადობის ზრდა და მართვის და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის განვითარების სამოქმედო გეგმის მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან.

შესრულებული აქტივობები	**შესრულების დრო**	**შემსრულებლები**	**გამარტება და მტკიცებულებები**
1.მოისმინეს 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრუების წლიური ანგარიში	იავარი	დირექტორი ადმიისტრაცია	**შესრულდა** 2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში
2.მარეგულირებელი დოკუმენტების სრულყოფა,მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში	მთელი წლის განმავლობაში	დირექტორი საქმისწარმოების მენეჯერი	**შესრულდა** ავტორიზაციის ახალი სტადარტიდან გამომდინარე ცვლილება გახორციელებული მარეგულირებელი დოკუმეტებში რაც დასტურდება მატერიალურად მარეგულირებელი დოკუმენტებით.

3.ახალი მიმართულებების მოდულური და მოკლევადიაი პროგრამის ადაპტირება და დამტკიცება	2021 წლს ნოემბერი /დეკემბერი	დირექტორი, დირექტორის მოადგილე	**ვერშესრულდა** სტრატეგიული და სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე დაგეგმილ იყო ახალი მოდულური პროგრამების ადაპტირება . ქვეყაში არსებული კოვიდპადემიდან გამომდიარე ვერ მოხერხდა პროგრამების ადაპტირება და დამატება , ეს პროცედურა გადაიდო მომავალი წლისთვის .
	2021 წლს ნოემბერი /დეკემბერი	ბუღალტერი,სამეურნეო სამსახური,ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	
	2021 წლის ნოემბერი /დეკემბერი	დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	
	2021 წლის ნოემბერი /დეკემბერი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	
	2021 წლს ნოემბერი /დეკემბერი	დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	
3.ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	სექტემბერი	დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	**შესრულდა** კოლეჯი საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად , ყოველწლიურად ამოწმებს ავტორიზაციის სტანდარტებს თვიტშეფასების აგარიშის შესაბამისად.
4. სასწავლო აუდიტორიების აღჭურვა სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით	2021 წლის ოქტომბერი	დირექტორი,ბუღალტერი, სამეურნეო სამსახური,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	**ვერშესრულდა** მძიმე კოვიდპანდემიიდან გამომდინარე კოლეჯმა ვერ მოახერხა ახალი მატერიალური ბაზის განახლება თუმცა კოლეჯში არსებულ მატერიალური რესურსები პასუხობდა იმ მოთხოვებს რაც კოლეჯის საგამანათლო პროგრამის შესაბამისად იყო გათვალისწინებული.
	2020 წლის ოქტომბერი	ბიბლიოთეკის მენეჯერი.ბუღალტერი,სამეურნეო სამსახური,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
5.კოლეჯში სარემონტო სამუშაოების წარმოება (სველი წერტილების განახლება, აუდიტორიების განახლება)	2021 საჭიროებისამებრ	სამეურნეო სამსახურის მენეჯერი	**ნაწილობრივ შესრულდა** საჭიროება არდამდგარა კოლეჯში სარემონტო სამუშაობის ჩატარების, თუმცა უსაფრთხოების დაცვის მიზით კოლეჯში სახაძრო სიგნალიზაციის სისტემა დამონტაჟდა, გადაიტუმბა ბალონები, პანდემიის პირობების გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. მოეწყო რეგულაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე საკარანტინო ოთახი რომელიც აღიჭურვა სათანადო მასალა-ნედლეულით.

6.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო და ინფრასტრუქტუ -რული პირობების გაუმჯობესება;	2021 საჭიროებისამებრ	სამეურნეო სამსახურის მენეჯერი	**საჭიროება არდამდგარა** საჭიროება არდამდგარა (ვინაიდა ამ ეტაპისთვის კოლეჯში არირიცხება სსმ და შშმ საჭიროების მქონე პირები)
7. პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აბიტურიენტებისთვის (სკოლებში ვიზიტი, მოსწავლეების ვიზიტი კოლეჯში, ვიდეო რგოლების მომზადება)	2020 წელი მაისი/ივისი	დაწესებულების დირექტორი ადმინისტრაცია დაწესებულების დირექტორი ადმინისტრაცია	**შესრულდა** პანდემიის კრიზისის მიუხედავად კოლეჯის ადმინისტრაციამ მოახეხა რამდეიმე სკოლაში ვიზიტი კოლეჯის ცნობადობის გაზრდის მიზნით შეხვდა სხოლის დირექტირებს და ადმიისტრაციის წარმომადგელებს . ფოტომასალა სო.ქსელები
8.კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სასწავლო ტრენინგების ჩატარება.	**მთელი წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ.**	გარე მხარდაჭერის ექსპერტი, აკადემიის ხარისხის უზ. გაბვითარების მენეჯერი	**შესრულდა** კოლეჯის ხარისხის სამსახურის მენეჯერმა დადეგმა და ჩაატარა შიდა შეხვედრები პროფესიულ მასწავლებლებთან , რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების დადასტურებას.ასევე პროგრამის ხელმძრვაელები და მასწავლებლები ჩართული იყვნენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და კერძო კოლეჯების მიერ დაგეგმილ ონლაინ ტრენინგებზე, რომელიც ეხებოდა პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას ,შედეგების დადსტურებას, ვალიდაციას, დისტაციური სწავლების მიდგომებს და დისტაციური სწავლების შედეგების დადასტურებას . ასევე კოლეჯის პედაგოგები აქტიურად იყვენ ჩართული შეფასების ინსტრუმენტების შექმნაში და ინსტრუმეტების ვალიდაციაში . რამაც ხელი შეუწყო მასწავლებელს კარიერულ ზრდაში , მასწავლებლები მიღებულ ინფორმაციას უზიარებდნე სხვა პედაგოგებსაც. შეხვედრები ტარდებოდა დისტანციურად რამაც საშუალება მისცა ჩვენს პედაგოგებს მაქსიმალურად ჩართულიყვნენ და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია. **დასწრების ფურცლები, ფოტო-მასალა**
9.გასაუბრების გამოცხადება (ინფორმაციის გავრცელება ვაკანტური ადგილების შესახებ) კანდიდატების შერჩევა	საჭიროებისამებრ	დირექტორი,ხარისხი ს მართვის მენეჯერი	კოლეჯში არდადგარა ახალიკადრის აყვანის საჭიროება

10.სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით პერსონალის და მასწავლებლების გამოკითხვების წარმოება	წელიწადში ორჯერ აღნიშნული პირველი , ივნისის ბოლოს და მეორე კერძოდ, დეკემბრის პირველ კვირას.	ხარისხის უზ. სამსახურის მენეჯერი.სასწავლო პროცესის მენეჯერი	**შესრულდა** კოლეჯში ჩატარდა ადმინისტაციის და მასწავლებლების გამოკითხვა, კითხვარის საშუალებით . პერსონალის და მასწავლებლის შევსებული კითხვარები
10.კერძო სექტორთან თანამშრომლობა პროგრამის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და პრაქტიკის განხორციელების მიზნით	მთელი წლის განმავლობაში	დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი დირექტორის მოადგილე	**ნაწილობრივ შესრულდა** კერძო სექტორთან მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომლობა. კოლეჯის ადმიისტრაცია ხშირად უკავშირდება დამსაქმებლებს, იკვლევს დამსაქმებლის მოთხოვნას პრაქტიკის განხორციელებისა და ვაკანტურ ადგილებზე სტუდეტების დასაქმებისთვის. მიუხედავად რამდენიმე ორგაიზაციის წარმომადგელებთან შეხვედრისა ხელშეკრულება არდადებულა და ეს საკიტხი გადაიდო მომავალი წლისთვის. შევსებული კითხვარები , ჩატარებული კვლევა
12. კოლეჯის ცნობადობის ზრდა, მართვისა და წავლების ეფექტურობის გაუმჯობესება საინფორმაციო და საკომუნიკაციო გამოყენების გზით	მთელი წლის განმავლობაში	დირექტორი; ადმინისტრაცია	**შესრულდა** კოლეჯის ცნობადობის ზრდისთვის , მართვისა და წავლების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს ვებ გვერდზე ახალი განახლებული ინფორმაციის განთავსება : ვებ-გვერდი-www.akademiazug.ge დაბეჭდილი ბუკლეტები ფოტო და ვიდეომასალა ვებგვერდი: სო.ქსელები
13.სტუდენტების ყოველწლიური გამოკითხვა პროგრამებისა და სასწავლო პროცესისი გაუმჯობესების მიზნით	მთელი წლის განმავლობაში	დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	**შესრულდა** კოლეჯში მუდმივად მიმდინარეობს სტუდენტების გამოკითხვა კითხვარის საშუალებით ,ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ რაც იძლევა გაირკვეს პრობლემური მხარეები და დროულად მოხდეს რეაგირება. შევსებული კითხვარი
14.სტუდენტური ღონის - ძიებების ორგანიზება/ორგანიზებაში ხელშეწყობა	მთელი წლის განმავლობაში	დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	**შესრულდა** მუდმივად მიმდინარეობს საპროფორიენტაციო კონსულტაციები. ეს ეხება, როგორც პროფესიის შერჩევის საკითხს, ასევე კურსდამთავრებულებს, რომლებიც საჭიროებენ დაკვალიანებას დასაქმების საკითხთან დაკავშირებით. მათ ეძლევათ რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომელიც

			არგუმენტირებულია და მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. ასევე, რაიმე ვაკანსიის შემთხვევაში მათ ეცნობებათ ინფორმაცია დასაქმების შესახებ. საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს ღოისძიებების ორგაიზება დაგეგმვაში . გასვლითი ექსკურსიების მოწყობაში . ფოტო და ვიდეომასალა ატვირთული კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებზე
2022 წლის მომდევნო სამოქმედო გეგმის განხილვა-დამტკიცება	2022 -იანვარი	დაწესებულების დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი,დირექტორის მოადგილე , სასწავლო პროცესის მენეჯერი .	**შესრულდა** კოლეჯის 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვაში მონაწილეობდ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი , სამეურნეო მატერიალური რესურსების მენეჯერი ,ბიბლიოთეკარი და ბუღალტერი. განხილულ იქნა კოლეჯის განვითარების პერსპექტივები ; ახალი მოკლევადიაი და გრძელვადიაი პროგრამების შემუშავება და ადაპტირება . მატერიალური ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ,ჩანაცვლება ახალი რესურსებით, სარემონტო სამუშაოების მოწყობა და ცეტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება რაც შეფერხდა კოლეჯში პანდემიის კრიზისიდან გამომდინარე, სათადარიგო საევაკუაციო ახალი კიბის(ახალი სტანდარტების შესაბამისად) დამონტაჟება , უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექაიზმების გაუმჯობესება. მასწავლებლების კარიერული წინსვლის გაუმჯობესება , სტუდენტური სერვისების დახვეწა და განვითარება , სტუდეტების დასაქმების ხელშეწყობა. კოლეჯის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის ოქმი **N06/01**